ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №768374

ნომერი: AR1142016

თარიღი : 26.06.2013

გაცემის თარიღი : 01.07.2013

გაცნობის თარიღი : 02.07.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შარტავა , N 40 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ გეგუჩაძე პ/ნ 01021004482
- თბილისი საექიმოს შეს. N 2 ბ. 53

ორგანიზაცია:

- სს ''ხალიკ ბანკი საქართველო" კოდი: 205236537

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მინაბლოკის ნაცვლად ფანჯრის ღიობების მოწყობით მოხდება "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) მშენებლობის ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევა. იმისათვის, რომ ფანჯრის ღიობები განთავსდეს მინიმალური დაშორება თქვენი საკადასტრო საზღვრიდან მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრამდე (და აარა შენობამდე) უნდა იყოს 3 მეტრი, რაც თქვენს შემთხვევაში 3 მეტრს არ შეადგენს. გამომდინარე აქედან ფანჯრის ღიობები უნდა იყოს შეთანხმებული პროექტის შესაბამისად მინაბლოკის ან წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოსადგენია გვერდზე არსებული მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრ(ეებ)ის თანხმობა/თანხმობები ღიობის განთავსებაზე (ამხანაგობის არსებობის შემთხვევაში კი წარმოსადგენი იქნება ამხანაგობის კრების ოქმი), გაითვალისწინეთ ამხანაგობის არ არსებობის შემთხვევაში დამატებით წარმოსადგენი იქნება ინფორმაცია/ცნობა საჯარო რეესტრიდან ყველა თანამესაკუთრის შესახებ. ზემოაღნიშნული ყველა დოკუმენტაცია შესაძლებელია ატვირთულ იქნას "დამატებითი დოკუმენტაციის"–ს ველში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.